თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

29.06.2022

N 2722

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ი. ჩიდრაშვილს.

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

თქვენი 2022 წლის 3 ივნისის N6/30922 წერილის პასუხად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში მდებარე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის(ს/კ 83.01.09.697) პრივატიზების შესახებ გაცნობებთ რომ, წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით არ არის დაცული სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მიახლოების გაბარიტი - 3.1 მეტრი ლიანდაგის ღერძიდან, შესაბამისად აუცილებელია მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება. ასევე, სამომავლოდ ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობა აუცილებელია განთავსდეს ლიანდაგის ღერძიდან არანაკლებ 11 მეტრის დაშორებით. ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 ქალაქმშენებლობის პუნქტების 3.8 და 6.8-ის, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი შეზღუდვები (პირობები).

მიწის ფართზე საქმიანობისას აუცილებელია დაცულ იქნას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობების, ნორმატიული დოკუმენტების, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებისა და წესების, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნები, ხოლო ტერიტორიაზე ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობა წინასწარ უნდა შეთანხმდეს სს „საქართველოს რკინიგზასთან“.

ზემოაღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში სს „საქართველოს რკინიგზა“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ 83.01.09.697 საკადასტრო ,კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების განკარგვა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
დავით ბაბუნაშვილი